დოქტორანტის კოლოკვიუმის სქემის ინსტრუქცია

თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი

1.1. სწავლების მეორე წლიდან დოქტორანტი იწყებს თეორიულ/ექსპერიმენტულ კვლევას. კვლევის პროცესში, სწავლების მესამე სემესტრიდანვე, მუშაობს კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომების შექმნაზე. კოლოკვიუმების რაოდენობა განისაზღვრება სადოქტორო პროგრამით.

1.2. კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი არის დისერტაციის ნაწილი. კოლოკვიუმი ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ სადისერტაციო თემასთან, მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული მასალის დამუშავებასა და წარმოდგენას. კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია დოქტორანტის ცოდნის სისტემატიზაციის ხელშეწყობა, გაწეული სამუშაოს წარმოჩენა, დოქტორანტის შემოქმედებითი აზროვნების, სამეცნიერო წრეებთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარების გამომუშავება.

1.3. **კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომი მოიცავს:**

ა) საკვლევი საკითხის დასმას, ასევე, სამეცნიერო ლიტერატურაში მისი ასახვის ისტორიას;

ბ) კვლევით პროექტს, მომავალი სადისერტაციო შრომის ზოგადი სტრუქტურისა და მეთოდოლოგიის განხილვის ჩათვლით;

გ) კვლევის შედეგებსა და მათ ანალიზს. კოლოკვიუმზე წარმოდგენილ ნაშრომში უნდა აისახოს თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებული შედეგები. დოქტორანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, გააანალიზოს მიღებული და მოსალოდნელი შედეგები, მიმოიხილოს მომზადებული ან გამოქვეყნებული პუბლიკაციები.

1.4. კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომის მოცულობაა არანაკლებ 25 გვერდი, დანართების გარეშე. გვერდები უნდა დაინომროს თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის დატოვება. ტექსტი უნდა შესრულდეს A4 ფორმატის (297×210 მმ) 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდზე, შრიფტი - Sylfaen, ზომა ძირითადი ტექსტისათვის - 12, სქოლიოს ტექსტისა და გვერდის ნომრებისათვის - 10. თავებისა და ქვეთავების სათაურებში შესაძლებელია უფრო დიდი ზომის შრიფტის გამოყენება. ნაშრომის ძირითად ტექსტში ინტერვალი უნდა იყოს 1,5, ხოლო სქოლიოში - 1. ტექსტი იბეჭდება ცალ გვერდზე. არე გვერდის მარცხენა მხარეს - 30 მმ, დანარჩენ მხარეებზე - 20 მმ. ნაშრომი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ, ან ხარისხით მასთან მიახლოებულ პრინტერზე. ძირითად ტექსტში ლიტერატურის ციტირება უნდა შეესატყვისებოდეს APA-ს აკადემიურ სტილს. ციტირებული ლიტერატურის ნუსხა უნდა განთავსდეს ნაშრომის ბოლოს, ძირითად ტექსტში მითითებული თანმიმდევრობით. ციტირებულ ლიტერატურაში წყარო მიეთითება ორიგინალის ენაზე. მითითებისას აუცილებელია APA-ს სტილის დაცვა.

1.5. ნაშრომზე მუშაობის პროცესი გულისხმობს როგორც სტუდენტის დამოუკიდებელ შრომას, ისე კონსულტაციებს ხელმძღვანელთან (მათ შორის, სწავლების დისტანციურ/ელექტრონულ რეჟიმში);

1.6. სემესტრის განმავლობაში, არაუგვიანეს მეცამეტე კვირისა, ნაშრომი წარედგინება დოქტორანტის ხელმძღვანელს. ხელმძღვანელი მას, დასკვნასთან ერთად, წარუდგენს შესაბამის კათედრას, რომელიც ქმნის დარგობრივ კომისიას და ნაშრომს უგზავნის კომისიის წევრებს, კოლოკვიუმის დაცვამდე არანაკლებ 10 დღით ადრე. შესრულებული ნაშრომი კათედრას უნდა წარედგინოს როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდვითი ფორმით.

1.7. დარგობრივი კომისია უნდა შედგეს შესაბამისი კომპეტენციის აკადემიური პერსონალისაგან (5-7 წევრი). კომისიის მუშაობას ესწრება დოქტორანტის ხელმძღვანელიც. დაცვა შესაძლებელია წარიმართოს დისტანციურად, ელექტრონული ფორმატით.

1.8. დოქტორანტი კომისიას წარუდგენს კვლევის მოცემულ ეტაპზე მიღებულ შედეგებს (რეგლამენტი - 15-20 წუთი).

1.9. კომისია წარმოდგენილ ნაშრომს აფასებს დანართი 1- ის მიხედვით. შეფასება ფორმდება ოქმით (დანართი 2). კომისია დადებით გადაწყვეტილებას იღებს იმ შემთხვევაში, თუ თითოეული კრიტერიუმი მინიმუმ „მეტწილად დაკმაყოფილებულია“.

1.10. დადებითი შეფასების მიღების შემდგომ დოქტორანტი აგრძელებს კვლევას, ხოლო, უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, იგი ვალდებულია გაითვალისწინოს კომისიის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და ხელმეორედ წარადგინოს ნაშრომი, განსაზღვრული დროის განმავლობაში.

1.11. თითოეული კოლოკვიუმის ჩატარება ფორმდება ოქმით. პრეზენტაცია იწერება ელექტრონულ მატარებელზე (CD ან DVD) და ინახება დოქტორანტის პირად საქმეში.

დანართი 1 - კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების უწყისი

<u>ინსტრუქცია:</u>

1. **შეფასების სკალა**

შემფასებელი იყენებს ოთხდონიან სკალას და ხელმძღვანელობს ქვემოთ მოცემული მითითებებით:

შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „შეესაბამება მოთხოვნებს“,თუ კვლევისას გამოყენებული მიდგომები და ნაშრომში წარმოჩენილი შედეგები სრულად პასუხობს კრიტერიუმის მოთხოვნებს;

მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომიდან შესაძლებელია კრიტერიუმის შესაბამისი შედეგების დემონსტრირება, თუმცა ნაშრომს აქვს სუსტი მხარეებიც, რომელთა დაძლევა შეიძლება მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 6 თვისა);

ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომი საბაზო დონეზე აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს, მაგრამ აქვს ისეთი სუსტი მხარეები, რომელთა დასაძლევად საჭირო დრო და რესურსი სცდება ნაშრომის გასწორებისათვის სადოქტორო პროგრამითა და რეგულაციებით განსაზღვრულ დროს.

არ შეესაბამება მოთხოვნებს - კრიტერიუმი ფასდება, როგორც „არ შეესაბამება მოთხოვნებს“, თუ ნაშრომი საბაზო დონეზეც კი ვერ აკმაყოფილებს კრიტერიუმის მოთხოვნებს.

გთხოვთ, განსაზღვროთ შეფასება მითითებული კრიტერიუმების გამოყენებით, შეფასების შესაბამისი სკალების მიხედვით.

2. **შემფასებლის დასკვნა**

შემფასებელი ნაშრომს აფასებს კონკრეტული კრიტერიუმის მიხედვით. აყალიბებს არგუმენტირებულ დასკვნას; კრიტერიუმის მოთხოვნების გათვალისწინებით, უთითებს ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. სასურველია, შემფასებლის დასკვნა არ აღემატებოდეს 200 სიტყვას.

1. **კვლევის შერჩეული მეთოდები და ჩატარებული კვლევა შეესაბამება სადისერტაციო თემატიკასა და საკვლევ პრობლემატიკას.**

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

2. **კვლევა ჩატარებულია სიღრმისეულად, იძლევა შესაბამისი დასკვნების გამოტანისა და მიღებული შედეგების განზოგადების საშუალებას.**

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

3. კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები ლოგიკურად და ნათლად არის ჩამოყალიბებული; განსაზღვრულია მიღებული შედეგების მნიშვნელობა და დარგის განვითარებისათვის მათი გამოყენების პერსპექტივები.

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

4. დოქტორანტს აქვს კომუნიკაციის/აზრის ნათლად გადმოცემის უნარი. ინფორმაციას ნაშრომის შესახებ გადმოსცემს ამომწურავად, მსჯელობს გამართულად, იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას.

შეესაბამება მოთხოვნებს	შემფასებლის დასკვნა
მეტწილად შეესაბამება მოთხოვნებს	
ნაწილობრივ შეესაბამება მოთხოვნებს	
არ შეესაბამება მოთხოვნებს	

<u>კოლოკვიუმის შეფასების უწყისი</u>

სადოქტორო პროგრამა

_____

დოქტორანტი

_____

სადოქტორო ნაშრომის სახელწოდება

_____

კოლოკვიუმის თემა

_____

შეფასების კრიტერიუმები	შეფასება
კვლევის შერჩეული მეთოდები და ჩატარებული კვლევა შეესაბამება სადისერტაციო თემატიკასა და საკვლევ პრობლემატიკას.	
კვლევა ჩატარებულია სიღრმისეულად, იძლევა შესაბამისი დასკვნების გამოტანისა და მიღებული შედეგების განზოგადების საშუალებას.	
კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები ლოგიკურად და ნათლად არის ჩამოყალიბებული, განსაზღვრულია მიღებული შედეგების მნიშვნელობა და დარგის განვითარებისათვის მათი გამოყენების პერსპექტივები.	
დოქტორანტს აქვს კომუნიკაციის/აზრის ნათლად გადმოცემის უნარი. ინფორმაციას ნაშრომის შესახებ გადმოსცემს ამომწურავად, მსჯელობს გამართულად, იყენებს პროფესიულ ტერმინოლოგიას.	
გადაწყვეტილება	**დადებითი/უარყოფითი**

კომისიის წევრის ხელმოწერა _____

თარიღი _____

ა(ა)იპ საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

კოლოკვიუმის შეფასების ოქმი	ჩატარების თარიღი (რ/თ/წ)

ინფორმაცია მოხსენების შესახებ	
დოქტორანტის გვარი, სახელი:	
მოხსენების თემა:	
მიმართულება:	

კოლოკვიუმის შეფასება დარგობრივი კომისიის მიერ		
შემფასებლის სახელი, გვარი	აკადემიური თანამდებობა	შეფასება
1.		
2.		
3.		
4.		
5.		
	გადაწყვეტილება	დაიცვა/ არ დაიცვა

შემფასებლების ხელმოწერა:

1._____

2._____

3._____

4._____

5._____

სხდომის თავმჯდომარე	_____	
		ხელმოწერა
მდივანი	_____	
		ხელმოწერა
	_____	